„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლიანდო ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მარტი. 2019 * (1)48-

ინტერვიუ

ბევრ სასიკეთო საქმეს უნდა ველოდოთ!

როსტომ მაგრაქველიძე

ბატონო როსტომ,

2019 წელი ძალაში შევიდა. უკვე ორი თვე მიწურა და ახალი საზრუნავიც მეტი გაჩნდა. საქმე ძალზე დიდ და დაძაბულ შრომას მოითხოვს, მოსახლეობას, უპირველესად, უნდა გავუმჯობესოთ როგორც სოციალური, ასევე საყოფაცხოვრებო პირობები, დღენიადაგ ვიზრუნოთ მათი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, რისთვისაც, პირველ რიგში, შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაა საჭირო და საბიუჯეტო სახსრებიც მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. ამ მხრივ. ამთავითვე, საინტერესოდ მიმაჩნია დღევანდელი ჩვენი ინტერვიუც, იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობას ვაუწყოთ – 2019 წელი რითი იქნება გამორჩეული და რის გაკეთებას ფიქრობს მუნიციპალიტეტის მერია. იქნებ უფრო დაწვრილებით გვითხრათ – რომელი პროექტების განხორციელებას ფიქრობთ და, მთლიანობაში, რამდენი მილიონი ლარის სამუშაოები შესრულდება?

– 2019 წელი საკმაოდ დატვირთული და მნიშვნელოვანი იქნება ასპინძის მუნიციპალიტეტისათვის, რადგან ბევრი სასარგებლო, საჭირო და მნიშვნელოვანი პროექტია დაგეგმილი.

აღნიშნული პროექტების დაფინანსება მოხდება სხვადასხვა საბიუჯეტო სახსრებიდან, კერძოდ: ცენტრალური ბიუჯეტიდან – 3 350 000 ლარით – ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რომელთა შორის განსაზღვრულია შიდა და სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

აღნიშნული პროექტების განხორციელებით თითქმის დასრულდება ასპინძის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურა: ცენტრალური გზიდან სოფელ აწყვიტამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1 060 000 ლარს; სოფლების –ოშორისა და დამალის შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 950 000 ლარი, დაბა ასპინძაში ქუჩების კეთილმოწყობისთვის – 470 000 ლარი.

ამ პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდება დაბა ასპინძაში მრავალსართულიანი კორპუსების რეაბილიტაცია, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 420 000 ლარს;

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სოფელ ტოლოშის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 450 000 ლარი, რითაც ადგილობრივ პატარებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ექნებათ;

2019 წლისთვის, მთის ფონდიდან, გამოყოფილია 500 000 ლარი, რაც ძირითადად მოხმარდება სარწყავი არხების აღდგენა-რეაბილიტაციას. ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი გამოყოფილია 3 738 113 ლარი, რომლითაც განხორციელდება შემდეგი პროექტები: სოფლებში –ივერიაში, ფიაში, ორგორაში, საყუდაბელსა და ძველში – გარე განათებები, რომლის ღირებულება შეადგენს 180 000 ლარს; სოფელ ოშორაში შიდა გზების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილია 600 000 ლარი; დაბა ასპინძაში, ე.წ. ხვილიშის უბნის ქუჩების კეთილმოწყობისთვის – 400 000 ლარი;

ხიზაბავრაში, საროსა და ვარგავში განხორციელდება სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენის და სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 470 000 ლარია.

ასევე გათვალისწინებულია რუსთავის სასოფლო კლუბისა და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რაზეც მთლიანობაში შესრულებული იქნება 130 000 ლარის სამუშაოები;

დაბა ასპინძაში, ე.წ აბანოს გორაზე, დაიდგმება ასპინძის სარეკლამო ბანერი, რომლის ღირებულება შეადგენს 35 000 ლარს;

როგორც ვიცით, დღესდღეობით, ძალზე სავალალო მდგომარეობაშია დაბა ასპინძაში კულტურისა და დასვენების პარკი, რომელმაც სრულიად დაკარგა ძველი იერ-სახე, რისთვისაც მის და მერიის მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციოდ შესრულებული იქნება 1 360 000 ლარის ღირებულების სამუშაოები;

დაბა ასპინძაში, ე.წ. „სამკუთხა სკვერის“ სარეაბილიტაციოდ და საერთაშორისო მნიშვნელობის – ახალციხე-ნინოწმინდის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვრამდე) საავტომობილო გზის კმ 31+100-მ-ში, დაბა ასპინძაში, წრიული მოძრაობის და კუნძულების მოწყობა - ღირებულებით – 40 000 ლარი.

ამჟამად ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას გამოცხადებული აქვს ტენდერი: დაბა ასპინძაში სასაფლაოს გზის რეაბილიტაციაზე, ღირებულებით – 331 757 ლარი; დაბა ასპინძაში, გურამიშვილისა და ერეკლე II-ის ქუჩების დამაკავშირებელი სამანქანე ხიდის სრულ რეაბილიტაციაზე, ღირებულებით – 110 330 ლარი; სოფელ აწყვიტის ხიდის რეაბილიტაციისათვის – 81 026 ლარი.

– ყველაზე ძვირადღირებული რომელი პროექტის განხორციელებას აპირებთ ამ წლისთვის?

– 2019 წელს განსახორციელებელი პროექტებიდან გამოვარჩევ ყველაზე ძვირადღირებულ 2 პროექტს – დაბა ასპინძაში, კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია და მერიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, რომელიც, ძირითადად, დაფინანსებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ასევე, მეორე პროექტია – ცენტრალური გზიდან სოფელ აწყვიტამდე მისასავლელი გზის რეაბილიტაცია.

– ყველასათვის ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სოფლის განვითარების პროექტების განხორციელებაზე. თქვენ, შესაბამის სამსახურებთან ერთად, უკვე შემოიარეთ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი და მოსახლეობაც აქტიურად ჩაერთო ამ პროექტების შემუშავება-დაგეგმვარების საქმეში. ალბათ, უკვე პრიორიტეტული მიმართულებებიც გამოიკვეთა, ძირითადად რას ითხოვს მოსახლეობა და რის გაკეთებას აპირებთ?

– მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ხელისუფლების ინიციატივით 2 წლის შემდეგ განახლებული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში უკვე გაიმართა ასპინძის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისიის წევრების შეხვედრები და მოსახლეობის საერთო კრებები, სადაც მათ მიერვე იქნა შერჩეული ის პრიორიტეტები, რომელიც უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროექტების ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ კრებებს დიდი ენთუზიაზმით დაესწრო თითოეული სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. დემოკრატიულად, გამჭვირვალედ და ერთობლივად, გადაწყდა ამა თუ იმ სოფელს რა უფრო ესაჭიროება. განსაკუთრებული აქცენტები გადაიტანეს იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც მათთვის უფრო პრიორიტეტულია, კერძოდ: სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, შიდა სისტემების, სოფლის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, შიდა გზების, საცალფეხო ხიდების, სასოფლო კლუბების სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარე განათების მოწყობა და სასაფლაოების შემოღობვა;

– მთლიანობაში, რა თანხებია გამოყოფილი და რა სამუშაოების ჩატარებას ფიქრობთ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით„?

– ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 304 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თანადაფინანსების სახით, პროგრამის განსახორციელებლად, დამატებით გამოიყოფა 152 000 ლარი.

– როდისთვის ფიქრობთ სატენდერო განაცხადების გაკეთებას და ძირითადად სამუშაოების დაწყებას როდის შეუდგებით?

– ჩამოთვლილი პროექტების განხორციელდება შესაბამისი გეგმა-გრაფიკით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შეფასებული და მოწონებული იქნება შემოთავაზებული წინადადებები. ხოლო შემდგომი პროცედურები დაიწყება აპრილის პირველი რიცხვებიდანვე.

– აღნიშნული პროექტების გარდა დამატებით კიდევ რას უნდა ელოდოს როგორც დაბის, ასევე სოფლის მოსახლეობა?

– ამ პროექტებთან ერთად, რაზედაც უკვე ვისაუბრეთ, მიმდინარე სამეურნეო წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება შემდეგი პროექტები: სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ახალი შენობის მშენებლობა, ღირებულებით – 238 299 ლარი; დაბა ასპინძის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის და სველი წერტილების რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტებით, რაზეც შესრულებული იქნება 94 975 ლარის სამუშაოები; სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის მეორე კორპუსის (სოფ. თმოგვი) შენობის სახურავის რეაბილიტაცია – ღირებულებით 73 978 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის N 207 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასპინძის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 310 000 ლარი, აქედან 80 000 ლარი მოხმარდება საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირებას, ხოლო 230 000 ლარი – სკოლებში თანამედროვე სტანდარტებით საპირფარეშოების მოწყობას.

2019 წელს მოხდა შეთანხმება შესაბამის სამინისტროებს შორის, რომ სოფელ ორგორაში აშენდება ახალი სკოლა.

ვფიქრობთ, აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ასპინძის მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებას, განათლების ხარისხის ხელმისაწვდომობის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

დაბოლოს. იმედს ვიტოვებ, რომ პერიოდულად შევხვდებით და მოსახლეობას მივაწვდით მათთვის საინტერესო ინფორმაციებს მუნიციპალიტეტის საჭირბოროტო საკითხებზე.

ინტერვიუ მიჰყავდა
ავთანდილ ბერიძეს

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

15 თებერვალს, ასპინძის საკრებულოს თავმჯდომრის მამუკა მელიქიძის თავმჯდომარეობით, გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ნოემბრის N35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

2. „ასპინძის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის და კონტროლის სანიტარული ნორმების დაცვის შემოწმების აქტის ფორმის და შემოწმების აქტის ფორმის შევსების მეთოდური რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე;

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ;

5. სოფელ რუსთავში 53 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „მტკვარ-ჰესის“ მშენებლობის პროცესში ცვლილების, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების და I სტადიის მშენებლობის ნებართვის შეთანხმების შესახებ;

6. სოფელ რუსთავში შპს ,,მტკვარ-ჰესის“ 263 მეტრი სიგრძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების და I სტადიის მშენებლობის ნებართვის შეთანხმების შესახებ;

7. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;

8. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შ.პ.ს „ასპინძის კეთილმოწყობისათვის“ გადაცემისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

9. ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციისა და სოფლების სასმელი წყლის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ტარიფების განხილვისა და დამტკიცების შესახებ;

10. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ;

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მაკა ბერიძე

ასპინძის საკვიზიტო ბარათი იქნება

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ალბათ, ინფორმირებულია იმაზე, უკანასკნელ წლებში თუ რა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მოსახლეობის როგორც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. სულ რომ არაფერი ვთქვათ იმ პრობლემური საკითხების მოგვარებაზე, რაც ჩვენს სინამდვილეში არსებობდა, მარტო – ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელება და, უპირველესად, მაღალმთიანობის კანონის ამოქმედებაც კი იკმარებდა, მაგრამ ყველასათვის თვალშისაცემია ის განხორციელებული პროექტები, რომელსაც უახლოეს წარსულში ვერასდროს ვერ წამოვიდგენდით.

ამჯერად მხოლოდ ერთ საკითხზე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო: მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ასაკოვან ადამიანებს კარგად ეხსომებათ თუ როგორ გამორჩეული და, მართლაც, სანიმუშოდ მოვლილი კულტურისა და დასვენების პარკი გვქონდა ასპინძელებს, რომლის მსგავსი, რეგიონში, ალბათ, ბორჯომს აქეთ, არც ერთ რაიონში არ არსებობდა. მუდამ ხასხასა ბალახით დაფარული პარკი, მარადმწვანე ჯანსაღი ხეებით დამშვენებული, არქიტექტურულად შესანიშნავად მოწყობილი აუზით, დეკორატიული ტუიებითა და თაგვისარათი იყო ცნობილი, როგორც იტყვიან, დავარცხნილი პარკი სისუფთავითა და სიმშვენიერით გამოირჩეოდა.

დროთა განმავლობაში, თითქოს ასაკმაც უწიაო, ისიც „დაბერდა", ხეების ერთი ნაწილი გახმა, გადაბერდა ტუიებიც, დაკარგეს ძველი ელფერი და იგი დღეს დაცული საძოვრის ფუნქციას თუ ასრულებს მხოლოდ.

არაერთხელ, ნოსტალგია მოძალებულებს, გულისწყრომაც გამოუთქვამთ მის ასეთ სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნისათვის. ახლახან კი მერიის (მერი როსტომ მაგრაქველიძე) დიდი ძალისხმევით გადაწყდა – ახალი სიცოცხლე დაუბრუნდეს აღნიშნულ პარკს და აღუდგეს ის ძველი სილამაზე, რომელიც მას ოდესღაც ჰქონდა და თანამედროვეობასთან თანხვედრში მოვიდეს.

ამ იდეის ხორცშესხმისთვის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის ბიუჯეტით უკვე გამოყოფილი აქვს სოლიდური თანხა – თითქ-

მის მილიონნახევარი (საჭიროების შემთხვევაში ეს თანხა გაიზრდება კიდეც) ლარი, რითაც მთლიანად შეიცვლის იერსახეს კულტურისა და დასვენების ძველი პარკი.

მერია ამ პროექტის განხორციელებას რომ განსაკუთრებული სერიოზულობით მოეკიდა და აქტიურადაც ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს, იქიდანაც ჩანს, რომ შეიქმნა 21 კაციანი კომისია, რომელმაც განიხილა მერიის მიერ წარმოდგენილი ღონისძიების გეგმა, რომლის ხორცშესხმა პარკის შემდგომ ფუნქციონირებას ხანგრძლივ სიცოცხლეს შესძენს.

ამა წლის 21 თებერვალს, მერიაში გამართული კომისიის სხდომაზე, წარადგინეს ის ძირითადი ჩამონათვალი, რისი განხორციელებაც სრულ შესაძლებლობას მოგვცემს, იგი მოსახლეობის სამსახურში ჩავაყენოთ, კერძოდ, – კომპლექსური რეაბილიტაცია ითვალისწინებს მის კეთილმოწყობას: ატრაქციონების დადგმას, არსებული დენდროლოგიის მაქსიმალურ განახლებასა და ძველის შენარჩუნებასაც, თანამედროვე დიზაინის სკამების დადგმას, განათების ქსელის სრულ განახლებას, სავალი ბილიკების კეთილმოწყობას, სარწყავი და სასმელი წყლით პარკის უზრუნველყოფას, სველი წერტილების ჩადგმას, საჩრდილობლების (ქოლგების) დამონტაჟებას, მინი სპორტული მოედნის განახლებასა და მის სრულ რეაბილიტაციას, ახალი დეკორატიული ღობის დამონტაჟებას, საფეხმავლო და ველობილიკების მოწყობას, არსებული აუზისთვის ძველი იერსახის დაბრუნებას (განახლებული ელემენტების გამდიდრებით), საზაფხულო სცენის მოწყობას და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი აქსესუარებით აღჭურვას.

აღნიშნული პროექტის განხორციელებისა და მისი სრულყოფის მიზნით, განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც მერიის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებმაც.

გადაწყდა, რომ კომპედენტური არქიტექტორ-დიზაინერების მოზიდვის მიზნით გამოიყოფა სოლიდური თანხა და ტენდერში გამარჯვებული პროექტის განხილვა ასევე საჯაროდ მოხდება, რათა შესაძლებელი იყოს ყოველგვარი მიკერძოების გარეშე გამარჯვებულის გამოვლენა და საუკეთესო პროექტის განხორციელება.

აღნიშნული პარკის სრული რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და მოზარდების), ასევე ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის სათანადო გართობისა და დასვენების პირობების შექმნას.

ცხადია, ამ იდეის ხორცშესხმა სრულიად შეცვლის დაბის ცენტრის იერსახეს და იგი სერიოზული სავიზიტო ბარათი გახდება ასპინძელებისათვის.

ავთანდილ ბერიძე

პარკის ფლორა განახლდება

ასპინძაში, მოსახლეობის ერთ-ერთ საყვარელ ადგილს, ცენტრში მდებარე კულტურისა და დასვენების ე.წ. სამკუთხა პარკი წარმოადგენს. აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით ზაფხულში, სადაც მრავალი მასობრივი კულტურული ღონისძიება თუ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს ხელმძღვანელთა და პოლიტიკურ ლიდერთა მოსახლეობასთან შეხვედრებიც კი იმართება. რადგან აქ საიმისოდ საუკეთესო საშუალებაა. ასევე უნდა ითქვას, რომ დროის გასატარებლად და დასასვენებლად ასპინძელები დაბის გარეუბნებიდანაც სტუმრობენ ხოლმე, მათ შორის, უცხოელებსაც შევხვდებით, რომლებიც ხანგრძლივ დროს აქ ატარებენ. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ – უამინდობის დროს არაერთხელ ჰქონია ადგილი პარკში არსებული გადაბერებული ხეების ტოტების ჩამომტვრევას, რასაც საშიშროების წინაშე დაუყენებია იქ მყოფნი.

მუნიციპალიტეტის მერიამ სწორად შეაფასა რა მოსალოდნელი საშიშროება, გადაწყვეტილება მიიღო , რომ გადაბერებული ხეების ე.წ. გადაბელვა მომხდარიყო და ტერიტორია უსაფრთხო გაეხადა. ეს პროცესი ისე განხორციელდა, რომ უახლოეს ხანში შესაძლებელია უკანასკნელ წლებში განახლებული ნარგავების ნორმალური ზრდა და გადაბელილი ხეების „გაახალგაზრდავება", რაც პარკს უფრო მიმზიდველს გახდის.

ავთანდილ მესხი

შეხვედრები სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოსახლეობასთან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასპინძის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები სისტემატურად ახდენენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოსახლეობასთან გეგმიურ შეხვედრებს. აღნიშნული შეხვედრების ორგანიზებაში აქტიურად არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები. ახლახან საინტერესო შეხვედრები გაიმართა სოფლებში: ჭობარეთში, ძველში, მირაშხანში, ოშორაში, ოთაში, ორგორაში, სახუდაბელში ...

სამსახურის თანამშრომლებმა მოსახლეობას გაუწიეს კონსულტაციები როგორც დარგობრივ საკითხებში, ასევე სახელმწიფო პროგრამებსა და პროექტებთან დაკავშირებით, როგორიცაა – აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა – „დანერგე მომავალი", აგროდაზღვევა, შეღვათიანი აგროკრედიტი, ახალგაზრდა მეწარმე, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი – „აწარმოე საქართველოში".

შეხვედრები საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა ყველგან, სადაც კი მივედით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი იქნა გამოჩენილი მესაქონლეობისა და მექანიზაციის მიმართულებით, – სახელმწიფოს ხელშეწყობით გარკვეული აქტივობების განხორციელების საკითხებში. სამსახურის თანამშრომლებმა მოსახლეობას გაუწიეს კონსულტაციები საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით აგრონომიულ საკითხებზეც, სხვადასხვა კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიებზე, თესლბრუნვებსა და კულტურათა მონაცვლეობის დაცვაზე, აგრეთვე ნიადაგის ანალიზის ჩატარების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, მისი ანალიზის აღების მეთოდზე. თითოეულ სოფელში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო მითითებით ხდება ინფორმაციების მოპოვება მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებსა და სოფლის მეურნეობის დარგთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ოლღა ბერიძე,
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის სპეციალიტი

მომავალი აქტივობების მიზნით

18 თებერვალს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ა(ა)იპ „საქართველოს დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება, სტუდენტური პარლამენტის" წარმომადგენელმა გიგა გლუნჩაძემ შეხვედრა გამართა,

რომელსაც ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ბერიძე, საკრებულოს თავჯდომრის მოადგილე ბესიკ ბერიძე და მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

„საქართველოს დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების, სტუდენტური პარლამენტის" პროგრამულმა მენეჯერმა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებს აღნიშნული პროექტი – „გაიცანი

ევროპა და განავითარე შენი რეგიონი/ქალაქი" – დეტალურად გააცნო და მის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

პროექტის ხელმძღვანელები მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მეთოდით ცდილობენ ახალგაზრდა ლიდერების აღმოჩენას, მრავალფეროვანი ახალგაზრდული აქტივობებით მათში სოციალური უნარების განვითარებას.

ახალ ინიციატივას გააჩნია განვითარების განსაკუთრებული პოტენციალი და მისი მეშვეობით შესაძლებელია ახალგაზრდა თაობის მასიური ჩართვა სახელმწიფო განვითარების პროცესში.

პროექტის – „გაიცანი ევროპა და განავითარე შენი რეგიონი/ქალაქი" – ფარგლებში შეხვედრები ინტენსიურად მიმდინარეობს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში.

ჩვენი დიდი თანამემამულე იყო

„დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინია,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
რომ აღასრულა მან თვისი ვალი“.

აღსარებასავით იმეორებდა იაკობი ილიას სიტყვებს მაშინაც კი, როცა სარეცელზე მიჯაჭვული, მოურჩენელი სენით შეპყრობილი, მშობლიურ მიწას ეთხოვებოდა.

ილიას სამრეკლოში ლოცულობდნენ იაკობ ლაზარაშვილი და მისი თანამოსაქმენი, პოეტის გენია მფარველობდა ყველას, ვინც კი დიდ ეროვნულ ტვირთს შეჭიდებული ცდილობდა თავისი მრავალტანჯული ხალხისთვის პატარა საზღაური მიეცა. ილიას ჩირაღდანი უნათებდა მათ გზას, იგი იყო ფარიც და მახვილიც თავდაცვისა და შეტევით ბრძოლებში, ილიათი ებრძოდნენ მომხვდურ მტერს, უვიცობას, სიბნელეს, კაცთმოძულეობას, სიდუხჭირეს, ენისა და რწმენის შემრყვნელებს, ჩვენი მოდგმის ათასნაირ მოძალადეს. ილიას სიყვარულით ცხოვრობდა, ცოცხლობდა და მოღვაწეობდა დიდი გულის კაცი, რომელიც დაუყვედრებლად აკეთებდა შეუმჩნეველ, მაგრამ დიდ ეროვნულ საქმეს.

იაკობ იოსების ძე ლაზარაშვილი იმ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით მშობლიურ ენას მყარი საფუძველი, საფარველი ამოუშენეს. ენა და რწმენა იყო ქართველ მამულიშვილთა მთავარი და დიდი სატკივარი, ამიტომ მათი დაცვისა და შენარჩუნებისთვის ბრძოლა წმიდათაწმიდა ვალი იყო.

ქართული სიტყის ძალას, მის მადლს უნდა ეზეიმა მესხეთის მოსახლეობაში, იაფფასიან თეატრალურ წარმოდგენებს „იავნანასავით“ უნდა გაეხსენებინა მათთვის, ვისი გორისანიც იყვნენ ისინი. ეს არ იყო იოლი საქმე, ჯადოსნური ძალისხმევა, რაც ამ მიზნის განსახორციელებლად იყო საჭირო. ასეთი იყო იაკობ იოსების ძე ლაზარაშვილი, რომელიც დაიბადა სოფელ ვარგავში (ასპინძის რ-ნი. რედ.) 1863 წლის 29 ნოემბერს და სრულიად ახალგაზრდამ დატოვა ეს ქვეყანა. წავიდა გულნაკლული იმით, რომ თავის ხალხს ვერ აღმოუჩინა შემწეობა, თუმცა სიცოცხლის მცირე დროშიც მიზნობრივად ბევრი რამ გაუკეთა მშობლიურ მხარეს.

პირველდაწყებითი განათლება სოფელ ხიზაბავრაში, ივანე გვარამაძესთან მიიღო პატარა კაკომ. მან დიდი ნიჭი გამოავლინა – მოკლე დროში შეისწავლა წერა-კითხვა. სამი წლის შემდეგ კი მშობლებმა სწავლის გასაგრძელებლად ქ.ახალციხეში, მღვდელ პავლე ლაზარაშვილთან ჩამოიყვანეს წმინდა ნათლისმცემლის ეკლესიაში. მშობლებს უნდოდათ იაკობი მღვდელი გამოსულიყო, მაგრამ იგი საერო სასწავლებელში გადადის, სადაც საუკეთესო მოსწავლის სახელს მოიხვეჭს. 6 თვის შემდეგ დაწყებითი სკოლების მასწავლებლის წოდებას ღებულობს. ლაზარაშვილი არ კმაყოფილდება მიღებული ცოდნით, – სწავლის გასაგრძელებლად მიდის თბილისში და შედის ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ამთავრებს და იძულებული ხდება სხვა საარსებო სამსახური იშოვოს, მაგრამ არც ეს იყო იოლი საქმე, პეტრე უმიკაშვილის დახმარებით, ბოლოს ახერხებს თბილისის კათოლიკე ქართველთა „სავარდეს“ სახელობის სკოლის ქართული ენის მასწავლებლად მუშაობის დაწყებას, სადაც 14 წელი დაჰყო. იაკობი მასწავლებლობასთან ერთად, ბავშვთა მეთვალყურედაც ითვლებოდა.

დაძაბულმა, გაჭირვებულმა ცხოვრებამ იგი ტუბერკულოზით დაავადდა. ავადმყოფობას არ უტყდებოდა და მასწავლებლობას საზოგადოებრივ საქმიანობასაც უთავსებდა, ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას: თარგმნიდა რუსულიდან საყმაწვილო მოთხრობებს, წერილებს, წერდა ორიგინალებსაც, მეტადრე, პიესებს, – აღნიშნავს კოტე გვარამაძე. გულმოდგინედ სწავლობდა ქართულ მუსიკას, განსაკუთრებით – გალობებს, მონაწილეობდა ქართულ გუნდში, სადაც გაეცნო და დაუახლოვდა ივანე და ზაქარია ფალიაშვილებს, ამიერიდან მათი განუყრელი მეგობარი ხდება. იაკობ ლაზარაშვილი ბავშვებს კლასგარეშე ლიტერატურასაც უკითხავდა, აწყობდა მათთვის საღამოებს, დისკუსიებს, საუბრებს, იმ ხანებში პირველად გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“. იგი ძლივს შეგროვილი თანხით იწერდა ჟურნალს და ბავშვებს სახლში ატანდა, რათა მასში მოთავსებული სტატიები, მოთხრობები წაეკითხათ და ცოდნა გაეღრმავებინათ.

იაკობ ლაზარაშვილი შესანიშნავი დრამატურგიც იყო. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული დრამა „მტარვალი“, რომელიც თბილისში წარმატებით იდგმებოდა. „მტარვალის“ დადგმის დროს თეატრის დარბაზი ხალხით ივსებოდა, სადაც ავტორს დაფნის გვირგვინებით და თაიგულებით ამკობდნენ ხოლმე“ – იგონებს კონსტანტინე გვარამაძე. მასვე ეკუთვნის პიესები: „მამა“, „ლანდი“, „სცენა სამიკიტნოში“ და სხვა. მისი ბევრი საყმაწვილო მოთხრობა გამოქვეყნდა ცალკე ბროშურად. ჟურნალ „ნობათში“ ასევე დაიბეჭდა მისი ნაწარმოები „ყმაწვილები ღრუბლებში“. აქტიურმა საზოგადოებრივმა მუშაობამ და მეტისმეტად გაჭირვებულმა ცხოვრებამ, ავადმყოფობა კიდევ უფრო გაუუარესა, რისთვისაც იძულებული გახდა მშობლიურ მხარეში დაბრუნებულიყო. გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე დაქორწინდა, თუმცა მეუღლის თავდადებამ – ეხსნა იგი სიკვდილისაგან – შედეგი ვერ გამოიღო. იაკობი გარდაიცვალა 1896 წლის 29 დეკემბერს. იგი დაკრძალულია რაბათში – კათოლიკური ეკლესიის ეზოში.

1902 წელს კონსტანტინე გვარამაძე პეტრე უმიკაშვილს ესტუმრა, რომელიც თბილისში ანჩისხატში ცხოვრობდა. მასპინძელმა თბილად, გულდაწყვეტით დაიწყო იაკობ ლაზარაშვილზე საუბარი: „ჩვენს თეატრში მსახურობდა 12 მანეთად, მასთან ხშირად მიხდებოდა საუბარი, მეტისმეტად უყვარდა ჩვენს მწერლებზედ ლაპარაკი, მეტადრე, თეატრზე იყო გატაცებული. თეატრზე რომ დავიწყებდით ლაპარაკს, იაკობი დაამატებდა ხოლმე: „შეძლება რომ მქონდეს, ჩემს სიცოცხლეში აღარ გამოვალ თეატრიდან, რადგან მასში ვხედავ სხვადასხვა ეროვნების ტიპის ცხოვრების სარკეს. მსჯელობა მეტად გონივრული, ლაპარაკი საამო, ენაწყლიანი იცოდა. ხასიათით ყველასათვის შეგუებული იყო. ხშირად გოდებდა, რომ უმაღლესი სასწავლებელი ვერ დაამთავრა, რის გამოც მისი იდეური მიზნები განუხორციელებელი რჩებოდა“.

ჭეშმარიტად ბევრის გაკეთება სურდა, საამისოდ დიდი სულიერი ძალები ჰქონდა გულანთებულ კაცს, მაგრამ არ დასცალდა, თუმცა თავისი ხანმოკლე სიცოცხლეში ფრიად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე გააკეთა, რომელიც ძლიერ სჭირდებოდა მაშინდელ მესხეთს.

ნათელა მოხევიშვილი

კონკურსი „ბროლის მელანი“ მესხეთზე ჩატარდა

ფონდმა „რუსულმა სამყარომ“ და საერთაშორისო პედაგოგიურმა კლუბმა ბელორუსიის განათლების მინისტრის მხარდაჭერით, პედაგოგებისათვის გამოაცხადა საერთაშორისო კონკურსი რუსულ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც მიეძღვნა გენიალური რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის დაბადებიდან 190 წლისთავს. იგი ორ ეტაპად გაიმართა.

კონკურსის პირველი ეტაპის მიზანი იყო ამაღლებულიყო პედაგოგთა მოტივაცია, შემოქმედებითი ზრდა და თვითგანვითარება.

დედამიწის ზურგზე, ალბათ, არ მოიძებნება არცერთი ქვეყანა, სადაც არ იცნობდნენ ტოლსტოის, არ ითარგმნებოდეს მისი შედევრები მსოფლიოს ხალხთა ენებზე, მისი განუმეორებელი რომანის მიხედვით გადაღებულმა კინოფილმმა „ომი და მშვიდობამ„კი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ლევ ტოლსტოის დიდი ხნის მეგობრობდა აკავშირებდა არაერთ ქართველ მწერალთან. ის დაიბადა როგორც პოეტი და მთელი ცხოვრება ოცნებობდა დასახლებულიყო თბილისში.

ქართულ სკოლებში დიდი ხანია აღარ ასწავლიან რუსულ ენასა და ლიტერატურას, მაგრამ ჩვენი სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა ოლღა ლეკიშვილმა მაინც გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო აღნიშნულ კონკურსში. როგორც ქალბატონმო ოლღამ გვითხრა, მეოთხედ ფინალში გავიდა 286 პედაგოგი, ხოლო ნახევარ ფინალში – მხოლოდ 13 კონკურსანტი, ძირითადად – ბელორუსიიდან, ლიტვიდან, რუსეთიდან, უზბეკეთიდან, სლოვაკეთიდან, იტალიიდან და საქართველოდან.

მეორე ეტაპზე ძირითადად წარადგინეს „ავტოპორტრეტი“ (20 წუთი), ღია გაკვეთილი – 30 წუთი, ტესტირება ტოლსტოის შემოქმედებასა და ბიოგრაფიაზე.

პირველი გამოსვლის შემდეგ ქალბატონ ოლღა ლეკიშვილისაგან ერთ-ერთმა წამყვანმა ტელევიზიამ ვრცელი ინტერვიუ აიღო და იმხელა პოპულარობა მოუტანა, რომ უწყვეტი გამოხმაურებები მოჰყვა.

კონკურსის შედეგების მიხედვით „ბროლის მელანი“ გადაეცა რსფსრ-ს დამსახურებულ მასწავლებელს, ვოლგოგრადელ ირინა ნესტეროვას, ხოლო ოლღა ლეკიშვილი დაჯილდოვდა „ბროლის ზარით“.

– ამ კონკურსმა, – ბრძანა ქალბატონმა ოლღამ, – ბევრი მოგონება დამიტოვა. მსგავსი კონკურსები ყოველთვის გვეხმარება გაკვეთილების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, რაც, უპირველესად, ორგანიზატორების დამსახურებად მიმაჩნია, რითაც მოსწავლეები მოტივირებულები ხდებიან თითოეული გაკვეთილის მომზადებასა და სათანადო ცოდნის მიღებაში.

ღია გაკვეთილის ჩატარების შემდეგ, ჩემთან მე-5 კლასის დამრიგებელი მოვიდა და მშობლების სახელით მადლობა გადამიხადა. მოსწავლეებმა კი ამ გაკვეთილით ბევრი რამ გაიგეს საქართველოსა და ლევ ტოლსტოიზე, ისინი მადლობას მიხდიდნენ გაკვეთილის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. სკოლის დირექტორმა ე. რუდოვამ კი კონკურსანტებს არაჩვეულებრივი გარემო შეგვიქმნა და დასამახსოვრებელი ექსკურსია ჩაგვიტარა ქალაქის შემოგარენში,

კონკურსის ორგანიზატორი იყო ა.კონდრიკოვა, რომელიც, თურმე, საქართველოში ყოფილა დაბადებული.

ბევრი მეკითხება: რა მოგიტანა ამ კონკურსმაო? – უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობის მოტივაციაა, რითაც ყოველთვის მაღლდება თვითგანათლება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მეგობრების შეძენაა.

ჩვენი ქვეყნის პრობლემებზე ყოველთვის გულისტკივილით ვსაუბრობდი და მათი მხრიდან თანაგრძნობასაც ვგრძნობდი. ამ კონკურსზე დაიბადა ახალი იდეა – ტრადიციული გახდეს საერთაშორისო კონკურსები ანალოგიური გაკვეთილების ჩატარებაზე. ცხადია, იგი რთული იქნება, მაგრამ ჩვენ ერთმანეთის მხარდაჭერას ვგრძნობდით, რაც მეტ ძალასა და ენერგიას გვმატებდა და იდეის განხორციელების იმედს გვინერგავდა“.

მე, პირადად, ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენს გვერდით მუშაობს მასწავლებელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ კონკურსში და სულითა და გულით ვულოცავ ოლღა ლეკიშვილს ამ წარმატებას. მას მომავალში კვლავაც არაერთი ახალი შეხვედრები ელოდება სამაგისტრო კლასებში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ნინო გელაშვილი,
კათედრის ხელმძღვანელი.
ასპინძის საჯარო სკოლა

იდუმალელი მოსწავლეების დიდი წარმატება

საქართველოში დიდი ხანია მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისათვის. ამ კუთხით არაერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება განახორციელეს როგორც სახელმ-

წიფო სტრუქტურებმა, ასევე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. არაერთი პრევენციული ღონისძებაც გატარებულა, თუმცა, ამ მიმართებით მდგომარეობა კვლავინდებურად პრობლემურია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების მიმართ გარკვეული მუშაობა საქართველოს სასწავლო დაწესებულებებშიც აქტიურად მიმდინარებს, რადგან სწორედ სააღმზრდელო დაწესებულებებია ის ძირითად რგოლი, სადაც ჩვენი მომავალი თაობები იზრდებიან და აქ უნდა სწავლობდნე მოზარდები სუსტი სქესის ადამიანებისადმი პატივისცემასა და ადამიანურ დამოკიდებულებას.

სწორედ ამას ემსახურებოდა ე.წ.„დღიურების კონკურსი“, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში ჩატარდა, სადაც, ძირითადად, საქართველოს საჯარო სკოლების VII-XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კუნკურსში სხვებთან ერთად ჩვენი მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ და რაოდენ სასიხარულოა, რომ ჟიურის გადაწყვეტილებით, საფინალო 216 ნამუშევრიდან, სამი საუკეთესო გამოვლინდა და პირველი ადგილის მფლობელები ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის (დირექტორი ლალი სოხაძე) მე-9 კლასის მოსწავლეები მარიამ ქავთარაძე და თამარ ციხელაშვილი გახდნენ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილ-

მა, მინისტრის მოადგილემ ირინა აბულაძემ და პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა ახლახან გამარჯვებული მოსწავლეები საზეიმოდ დააჯილდოვეს და სამახსოვროდ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო გულითა და სულით ულოცავს იდუმალის საჯარო სკოლას და, პერსონალურად, კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს ამ დიდ წარმატებას და უსურვებს ახალ-ახალ გამარჯვებებს.

საზეიმოდ მიულოცეს წარმატებები

ამა წლის 20 თებერვალს ,,საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა 2018-19”-ის რეგიონულ თამაშებში მონაწილე საჯარო სკოლების ვაჟთა და გოგონათა გუნდების მწვრთნელებს ასპინძის მერიამ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში უმასპინძლა.

,,საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა 2018-19”-ის რეგიონულ თამაშებში წარმატებით იასპარეზეს ასპინძის, ტოლოშის, ხერთვისის, ივერიის, რუსთავის და ჭობარეთის საჯარო სკოლების სასკოლო გუნდებმა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ გამარჯვებულებს და მათ მწვრთნელებს კიდევ ერთხელ მიულოცა მიღწეული წარმატება და სპორტული ეროვნული ფედერაციის სტანდარტებით და დიზაინით დამზადებული სპორტული ფორმები გადასცა.

დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის სხვა თანამშრომლებიც.

სპორტი

ამჯერადაც გაგვახარეს

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია რამდენიმე წელია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სპორტის განვითარებისათვის, რადგან ჯანსაღი ცხოვრება არის უმთავრესი საზრუნავი, რაზეც დიდადაა დამოკიდებული ჩვენი მომავალი. და რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა და მოზარდებმა სწორედ ბოლო წლებში მიაღწიეს რესპუბლიკის მასშტაბით არაერთ დიდ წარმატებას სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ამა წლის 6 თებერვალს, ქალაქ თბილისში, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ორგანიზებით, გამართული საქართველოს პირველობა 2002-2004 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის, სადაც 48 კილოგრამიან წონით კატეგორიაში ასპარეზობდა ასპინძის წარმომადგენელი **მარიამ ფოცხვერაშვილი**, რომელმაც ხუთი გამართული შეხვედრიდან ხუთივე პირწმინდად მოიგო და საქართველოს ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვა.

ასევე, შესარჩევ შეჯიბრებაზე ვაჟებში აღმოსავლეთ ზონიდან მონაწილეობის უფლება მოიპოვა ასპინძის წარმომადგენელმა **ვლადიმერ გვარამაძემ**.

აღნიშნული წარმატებები დიდი მიღწევაა მუნიციპალიტეტის სინამდვილეში, ხოლო, თავის მხრივ, ასპინძელთა ეს წარმატება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ იმით აღნიშნა, რომ **მერმა როსტომ მაგრაქველიძემ**, მერის მოადგილემ ლევამ ბერიძემ და ა(ა)იპ სასპორტო გაერთიანების დირექტორმა **ლევან მაზმიშვილმა** გამარჯვებული სპორტსმენები **მარიამ ფოცხვერაშვილი** და **ვლადიმერ გვარამაძე** მედლებით და სამახსოვრო თასებით დააჯილდოვეს.

დიდი მადლობა, გულისხმიერებისათვის!

ვარ სოციალურად დაუცველი, მარტოხელა დედა, დაბადებიდან ვცხოვრობ ასპინძაში. რადგან ეკონომიურად ძალიან მიჭირს, ჩემთვის ზამთრის პერიოდში გათბობის თემა ყოველთვის პრობლემურია. აბა, წარმოვიდგინოთ, ზამთრის სეზონზე, გათბობისათვის სულ მცირე 4-5 კუბური მეტრი საწვავი შეშაა საჭირო, ტყიდან მისი ჩამოტანა ხომ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული?

ეს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული ადგილობრივ ხელისუფლებას და ამიტომაც იყო, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ გასული წლის დეკემბრისათვის, წინასაახალწლოდ, დიდი სიურპრიზი გაგვიკეთა და ზამთრის სეზონისთვის საკმარისი რაოდენობის საწვავი შეშა გადმოგვცა, რაც ჩვენთვის დიდი საჩუქარი იყო.

პატივცემულო რედაქციავ, მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთის საშუალებით და გვიან, მაგრამ გულითადად, დიდი მადლერება მინდა გამოვხატო მუნიციპალიტეტის მერიის და, განსაკუთრებით, პერსონალურად მერის – როსტომ მაგრაქველიძის, საკრებულოს თავმჯდომრის მამუკა მელიქიძის, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა კომპედენტური პიროვნების მიმართ და ვუსურვო ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე, წარმატებები, როგორც პირად, ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში.

პატივისცემით,

ლილი ნადირაძე, პენსიონერი
დ.ასპინძა

ახალი წიგნები

ასპინძის მთავარმა ბიბლიოთეკამ ახლახან წიგნის მოყვარულთათვის ახალი წიგნები მიიღო:

ამირეჯიბი ნ. – „პრეზიდენტი 7 წლით“. თბ. გამომც. „ინტელექტი“;

არდია ს. – „გროსმაისტერები. თბ. გამომც. „ინტელექტი!;

ბაქანიძე ლ. – „მესამე ნაპირი“. თბ. გამომც. „პალიტრა“;

გელაშვილი ნ. – „ქართული ალტერნატიული პროზა“. თბ. ქარჩხაძის გამ-ბა;

გელაშვილი ნ. – „სარკის ნატეხები“. თბ. გამომც. „ინტელექტი;“

გელაშვილი ნ. – „ჩვენი გრძელი ამბავი“. თბ. გამომც. „ინტელექტი“;

გიგუაშვილი ხ. – „ლითონის ვარსკვლავები“. თბ. გამომც. „ინტელექტი“;

გვაზავა ლ. – „დრო მიდის კადრები კი რჩებიან“. თბ. გამომც. „სიესტა“;

კარგარეთელი ი. – „სხვა უდაბნო“. თბ. გამომც. „პალიტრა“;

კბილაშვილი თ. – „ბედი, რომელსაც აზროვნება განაგებს“. თბ. „მწიგნობარი“;

„მესხეთი ქართულ პოეზიაში“. თბ. გამომც. „საარი“;

პანფილოვი ო. – „რუსულ-ქართული საინფორმაციო ომი“. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა,

პენაკი დ. – „პროზის გამყიდველი“. თბ. გამომც. „აგორა“;

პიკო ჯ. – „ჩემი დის მფარველი“. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა;

როსტიაშვილი ნ. – „სუნთქვის შემგროვებელი“. თბ. გამომც. „ინტელექტი“;

ქავთარაძე ჯ. – „შავბნელი წიგნი“. თბ.: გამომც. „პალიტრა“;

ღვინიანიძე თ. – „აღსარება ხელისგულზე“. თბ. გამომც. „ინტელექტი“.

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის
საინფორმაციო მეთოდურ–
ბიბლიოგრაფიული განყოფილება

თათრის სამალავი

ასპინძაში, იმ ოდაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით გასული საუკუნის 30-იან წლებში, ადრე თათრისა იყო. აქ ორი ოდა ერთმანეთის გვერდით იყო მიდგმული. ამათ გვერდით „იაზლუღი“ იყო. ოდაში რომ შესულიყავი, ჯერ დიდი ბოსელი უნდა გაგევლო, მერე ოდაში შეხვიდოდი. ერთ ოდას ბუხარი ჰქონდა თავისი ფურნით, მეორეში – ორმხრივი საქვეები (ტახტები).

მაშინ ასპინძაში სულ თათარი ცხოვრობდა – 130 ოჯახი. თითზე ჩამოსათვლელი, ასე 9-10 ოჯახი ვიყავით ქართველობა. სკოლაში თათრულ (აზერბაიჯანულ) ენაზე იყო სწავლება, მერე ქართულიც გაიხსნა. 1944 წელს თათრები რო გაასახლეს, იმერლები და მთიულები ჩამოასახლეს. ყველას დაურიგეს საცხოვრებელი ბინები, მათ შორის ჩვენც დაგვიტოვეს თათრის ნაქონი ბინა. მანამდე კი აქ ქირით ვცხოვრობდით. იმას გეუბნებოდი, იმ ბინაში, რომელიც ჩვენ მოგვცეს, თათრისა იყო. ის თათარი ომში გაიწვიეს, მაგრამ მერე ომიდან გამოქცეულა, ღამით, ქალის ტანსაცმელს გადაიცმევდა და ასე გადიოდა ყანასა და ბაღში სამუშაოდ, დღისით კი სახლში იმალებოდა.

შინსახკომი დასდევდა კარგა ხანს, მაგრამ ვერა და ვერ დაიჭირეს.

ერთხელ, ეს კაცი, სახლში რომ შემოვიდა, შისახკომელებმა დაინახეს და ფეხდაფეხ მოჰყვნენ. მთელი სახლი გადააქოთეს, მაგრამ კაცი ვერ ნახეს. მაშინ ერთმა მილიციონერმა – პავლე ბერიძემ, თათრის სამიოდე წლის ბავშვს კანფეტი მიაწოდა და დაყვავებით უთხრა, – სად არის მამაშენიო.

პატარამ ტახტის გასწვრივ, მოპირკეთებული ფიცრის კარნიზზე მიუთითა, – ამის უკან არისო.

მართლაც კარნიზი გამოსწიეს და... მის უკან ოთხად მოკეცილი თათარი ნახეს.

მთხრობელი შუშანა ოთანაძე, 85 წლის, ჩაწერილია 2007 წელს
რობერტ ბერიძის მიერ

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია